ცნობის ფურცელი

№ 2308 ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2308

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

№ 13.

ქართული თეატრი

ტელეფონი № 761

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ საზოგადოების თხოვნით ხელმეორედ ◆

პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქმ. აკაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ მოკლე ხანში იქმნება გედევანოვის „ბენეფისი“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ფრა-დიაბოლო

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ობერისა,

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: კარტავინა, სელიუკ; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, შმაკოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 31 ოქტ.—„ფაუსტი“, გუნოსი, 1 ნოემბერს—„ფრანჩესკო და რიმინი,“ ნაპრავნიკისა. (6).

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დაჩქარონ შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ბრ. მ. სოკოლოვსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (უ. 0—4)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაჟისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

საზღვარ-გარედ

ჯიოლიტის ახალი სამინისტრო იტალიაში

ამას წინად ცანარდელის სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და იტალიის მეფემ ახალ სამინისტროს შედგენა ჯიოლიტის მიანდო. ცანარდელი იმიტომ გადადგა სამსახურიდან, რომ უკიდურესი მარცხენა პარტია მხარს აღარ აძლევდა იმის სამინისტროს, უამპარტიოდ-კი ცანარდელის არ შეეძლო იოლად წასვლა. ამიტომ ჯიოლიტი ძლიერ ცდილობდა მარცხენა პარტიის მიმხრობას; ძლიერ მოინდომა სოციალისტი ტურატი და რადიკალები საკი და მარკორა თავის სამინისტროს წევრებად გაეხადა, მაგრამ ვერას გახდა. საკიმ და მარკორამ გამოუცხადეს, ტიტონისა, როზანოსა და პატერნოს თუ მინისტრებად მიიწვევ, ჩვენ ვერ მივიღებთ შენს კაბინეტში მონაწილეობასაო. ან ჩვენ უნდა მივიწვიო, ან ისინიო, ჩვენი და იმათი ერთად სამსახური არ შეიძლებაო. ტიტონიო, ნეაპოლში პრეფექტად რომ იყო, მეტად ცუდად იქცეოდაო, პატერნო კრისპის მეგობარი იყო; როზანო კიდევ რომის ბანკის მმართველების მეგობარი იყო, ქრთამებს იღებდა და მაფიის გმირის პალიცოლოს ვექილობა იკისრაო. ასეთი მინისტრები სახელს გაუტეხენ მთელ სამინისტროსაო. რაკი რადიკალებისაგან ასეთი უარი მიიღო, ჯიოლიტიმ უამათოდ შეადგინა სამინისტრო. პატერნომ თითონვე უარი სთქვა მინისტრობაზე, ტიტონიოდ როზანო კი სამინისტროს წევრებად გახდნენ. როზანო ფინანსთა მინისტრად დაინიშნა. გუშინ დეპეშამ ამბავი მოიტანა, როზანომ თავი მოიკლაო. ალბად, რადიკალები და სოციალისტები რამე ცუდ საქმეების გამოაშკარავებას დაემუქრნენ, იქნება გამოააშკარავეს კიდეც და უბედურმა როზანომ თავი მოიკლა.

შორეულ აღმოსავლეთის საქმე

ჩინური გაზეთები იუწყებიან, მეფის მოადგილეებმა ჩანჩიტუნგმა და იუანშიკაიმ იმპერატორის სასახლეში, აუდიენციის დროს, 2 ნოემბერს, (ახ. სტ.) მხნედ მოითხოვეს, ჩინეთიც იაპონიას უნდა მიემხროს და რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოსო.

გერმანულ გაზ. „ვ. ლოკალ ანცაიგერს“-ს სწერენ: ჩინეთის ელჩი ვაშინგტონში 2 ნოემბერს (ახ. სტ.) შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრს ჰეის შეეკითხა: რუსეთმა რომ მანჯურიიდან ჯარი არ გაიყვანოს, ამერიკა რას იზამს, შეუძლიან ძალა დაატანოს და პირობა შეასრულებინოს რუსეთს, თუ არაო. მინისტრს ჯერ პასუხი არ მიუცია ელჩისათვის.

კომბის სამინისტრო

ბოლოს დროს კომბის სამინისტროს მომხრე უმეტესობა, ცოტა არ იყოს, შეირყა და კომბს შესაფერისს დახმარებას აღარ აძლევდა. კომბი დაიმუქრა, სამსახურიდან გადავდგებიო. მთავრობის მომხრე რესპუბლიკელები შეშინდნენ, კომბმა მუქარა არ შეასრულოსო და ეხლა, ეტყობა, ყოველ ღონეს ღონობენ, რომ კომბი დაამშვიდონ. ამ დღეებში რესპუბლიკელთა ოთხისავე ჯგუფის დელეგატებმა თათბირი მოახდინეს და დაადგინეს, საიდუმლო ფონდი ერთხმად, ულაპარაკოდ დავამტკიცოთ და ამით მთავრობას ნდობა გამოვუცხადოთო. ამას გარდა დელეგატებმა დაადგინეს, როცა რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საგანზე კამათი იქმნება, წინადვე თათბირი მოვახდინოთ და ყველაფერზე მოვილაპარაკოთო. ჟორეს-მაც სთქვა, სოციალისტებსაც ვურჩევ, რომ საიდუმლო ფონდი ერთხმად დაამტკიცონო.

ბერების განდევნა

ამ დღეებში პარიზში მოხელეებმა ერთ მონასტერიდან ბერები ძალით განდევნეს. პოლიციამ მონასტრის ყველა კარები იერიშით აიღო. ბერები ერთ სალოცავში შეკრებილიყვნენ; ერთი ბერი ხმა მაღლა პროტესტს უკითხავდათ. პოლიციელები მიდიოდნენ, ყველა ბერს, სათითაოდ, მხარზე ხელს ადებდნენ და ამის შემდეგ ბერები ხმის ამოუღებლივ გადიოდნენ. მონასტრის წინ დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა; ზოგი ბერებს უცხადებდა თანაგრძნობას, ზოგი მთავრობას.

სათემო არჩევნები ინგლისში

ინგლისსა და უელსში 20 ოქტომბერს სათემო არჩევნები მოხდა: სათემო საბჭოთა ხმოსნები აირჩიეს. არჩევანში პროგრესიულ პარტიებს გაუმარჯვიათ: ლიბერალებსა, სოციალისტებსა, მუშების პარტიას, კოოპერატორებს და ნაციონალისტებს (ირლანდიელებს) ერთი ორად მეტი ახალი ადგილი შეუძენიათ, ვიდრე კონსერვატორებს. ამ არჩევნის დროს თურმე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სატამოჟნო საქმეს. ლონდონში ხომ, საარჩევნო აგიტაციის დროს, არც-კი უხსენებიათ ეს საქმე.

ტისას ახალი სამინისტრო და კოშუტის პარტია

როგორც იყო, დიდის დავი-დარაბისა და მოლაპარაკების შემდეგ, ჰუნგრეთის კრიზისს ბოლო მოეღო. გრაფ ტისამ ახალი სამინისტრო შეადგინა. 3 ნოემბერს (ახ. სტ.) ახალმა მინისტრებმა ფიცი მიიღეს და თავიანთ საქმის ასრულებას შეუდგნენ. კოშუტის პარტიამ წინა დღით სხდომა მოახდინა და მოილაპარაკა, რა გზას დავადგეთ და ახალ სამინისტროს რანაირად მოვექცეთო. პარტიის წევრმა პოლონიიმ მოახსენა კრებას, გრაფ ტისა დამპირდა: საარჩევნო უფლებას გავაფართოვებ და თუ ძლიერ არ გამიჭირდა, პალატას არ დავითხოვო, მაგრამ პარლამენტის წევრების შეცვლას კი ძლიერ ვეცდები, ხალხს გადასახადებს შევუმსუბუქებ და განკარგულებას მოვახდენ, რომ კაზარმებზე ჰუნგრულ ენაზე შედგენილი წარწერები მიაკრანო.

გაზეთები იუწყებიან, კოშუტის პარტიის სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა და ტისას დაპირება ჰკუაში დაუჯდათ დეპუტატებსაო. კრებამ დაადგინა, დავიცადოთ და, თუ ტისა პარლამენტშიაც ამასვე გამოაცხადებს, ობსტრუქციაზე ხელი ავიღოთო.

მომსენის დასაფლავება

განთქმული ისტორიკოსი მომსენი 23 ოქტომბერს ქალ. შარლოტენბურგში დიდებულად დაასაფლავეს. განსვენებულ მეცნიერის დაკრძალვა ქალაქის გამგეობამ იკისრა. ნაშუადღევის 1 ს. საბჭოს ხმოსნებმა და ქალაქის მოურავმა უკანასკნელი პატივი სცეს თავიანთ ერთად-ერთ საპატიო მოქალაქეს. ეკლესია ხალხით იყო გაჭედილი. იმპერატორის წარმომადგენელმა კრონ-პრინცმა (იმპერატორის შვილმა და მემკვიდრემ), თავის მამის მინდობილობით, გვირგვინით შეამკო განსვენებულის კუბო და მომსენის სახლობას სამძიმარი გამოუცხადა. დაკრძალვას დაესწრნენ: გრაფ პოსადოვსკი, 4 მინისტრი, ბერლინის ორივე მოურავი, უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმის ყველა პროფესორი, მეცნიერების აკადემიისა და სტუდენტობის წარმომადგენელნი, სხვაგნებურ უნივერსიტეტების დეპუტაციები, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენელნი. დასაფლავების დროს მარტო განსვენებულის მეგობარმა, განთქმულმა ისტორიკოსმა ადოლფ ჰარნაკმა წარმოსთქვა სიტყვა. ჰარნაკმა სთქვა:

„მომსენს სნეულებამა, ტანჯვამა და დარდმა კი არ მოუსწრაფეს დღე, სიცოცხლის ჩარხმა თავისი გზა დაასრულა და სამოცის წლის უმაგალითო შრომის შემდეგ თავის თავად დადგა. ჯერ ასეთი ძლიერი ისტორიკოსი არა ყოფილა. მაგრამ მომსენი მარტო მეცნიერი როდი იყო— ერთსა და იმავე დროს პოეტი და მოქალაქეც იყო. იმისი ნაწარმოები სავსეა ხელოვნებით. სიბერემდე შერჩა მხატვრისა და პოეტის ნიჭი, ამიტომ უკანასკნელ დღემდე ყმაწვილ-კაცის გული ჰქონდა. მეტად მხნე, დაუღალავი მოქალაქე და საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. ერთსა და იმავე დროს მონარქიის მეგობარიც იყო და თავისუფლებისთვისაც იბრძოდა“.

სიტყვის შემდეგ ცხედარი სასაფლაოზე წაასვენეს. კუბოს უკან აუარებელი გვირგვინი მიჰქონდათ. დიდძალი, უთვალავი ხალხი იდგა ქუჩებში, სახლის აივნებსა და ბანებზე; კუბოსაც დიდ-ძალი ხალხი მისდევდა.

დიდი სახელმწიფოები და ოსმალეთი

დიდმა სახელმწიფოებმა ყველამ ერთ პირად მხარი დაუჭირეს ავსტრია-რუსეთის ნოტას, ჯერ საფრანგეთმა გამოუცხადა ოსმალეთს, ავსტრია-რუსეთის პროგრამა უსათუოდ უნდა აასრულოთო, მერე ნელ-ნელა გერმანია, ინგლისი და იტალიაც მიემხრნენ რუსეთსა და ავსტრიას და ოსმალეთს ხსენებულ პროგრამის ასრულება მოსთხოვეს. ოსმალეთი ეხლა ყველა დიდ სახელმწიფოს წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევს და, მეტი რა ჩარაა, რუსეთისა და ავსტრიის ნებას აასრულებს. თუ ვინიცობაა კიდევ გაჯიუტდა, მაშინ დიდი სახელმწიფოები ნოტების გაგზავნას აღარ დასჯერდებიან, რამე სხვა ხერხს იხმარენ და კერპ ოსმალეთს თავიანთ ნებაზე დაიყოლიებენ. ოსმალეთს თავის მეგობარ გერმანიის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა; გერმანიაც სხვა სახელმწიფოებს მიუდგა ამ საქმეში.

ახალი ამბავი

კავკასიის მთავარ-მართებლის თავადის გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობის ბიულეტენი:

29 ოქტომბერი, საღამოს 8 საათი: „ციებამ გაუარა. ჭრილობები კარგად ურჩება. მათი ბრწყინვალება იმდენად მოღონიერდა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ორიოსამი საათის განმავლობაში ყოველ დღე ლოგინიდან დგებოდა ხოლმე და სავარძელში ჰქანაობდა. დღეს-კი ოთახებში შესძლო გავლა. დღევანდლიდან ბიულეტენი აღარ იქნება“.

ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ **თიანეთის მაზრის** სოფლის საზოგადოებებს—სადრიანისა, თელათსოფლისა და ნაქალაქევისას სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხად მიეცეთ 1500 მანეთი თითოს. ამ ფულით სოფლებმა შენობები უნდა აგონ სასოფლო გამგეობებისათვის. ვალი სამი წლის განმავლობაში უნდა გაისტუმრონ.

◆ საფინანსო კომისიას **შემოსავალ-გასავლის** აღრიცხვის განსახილველად უკანასკნელი სხდომა ჰქონდა 28 ოქტომბერს. გამგეობამ თუმცა შეამცირა ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ ქალაქს მაინც 60,000 მან. დეფიციტი მოელის. დეფიციტის დასაფარავად გამგეობამ დაადგინა ისესხოს ფული საუნი-

ეროვნული

ვერსიტეტო თანხიდან. საფინანსო კომისია არ დაეთანხმა გამგეობას. მომავალ წელს შემოსავალს მოელიან 1,502.945 მან. კომისიის აზრით, გამგეობა ამ ფულით ყველა ხარჯს უნდა გაუძლვეს.

◆ შაბათს, 31 ოქტომბერს, დაიწყება **კენჭის ამოღება** ტფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში.

◆ გუშინ, 29 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოში **დაათვიცეს** ახლად ჯარში გაწვეული ყმაწვილი კაცები.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს **მ. ა. კარპოვს**, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, პირველ ნოემბრიდან სხვა თანამდებობას აძლევენ.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის **ინსპექტორი ბ-ნი ბელევიჩი** პეტერბურგის გუბერნიაში ჩერეპოვეცკის საოსტატო ინსტიტუტის დირექტორად გადაუყვანიათ; ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად-კი ერევნის გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი ბოგოლიუბსკი დაუნიშნავთ.

◆ ტფილისის **პოლიცმეისტრის თანაშემწედ**, როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, ჰნიშნავენ მე-9 ნაწილის ბოქაულს მანდრიკინს.

◆ ბაქოს ნავთის ქარხნების დასათვალიერებლად და ნავთის წარმოების გასაცნობად ამ ცოტა ხანში ბაქოში ჩავა რამდენიმე **იაპონელი მოგზაური**.

◆ სამშაბათს, 28 ოქტომბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭომ **განიხილა განცხადება** საბჭოს წევრის ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეისა, რომელიც თხოულობდა წევრის თანამდებობისაგან განთავისუფლებას. საბჭომ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის იმ შრომა-მოღვაწეობისთვის, რომელიც იმან საზოგადოებას გაუწია საბჭოს წევრის თანამდებობის ასრულების დროს. ამავე სხდომაზე საბჭომ საბაღოსნო სკოლის გამგედ აარჩია აგრონომი მედვედევი და დაადგინა, წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საზოგადო კრებას.

◆ გუშინ, 29 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ საამშენებლო განყოფილებას გადასცა თხოვნა **ნავთლუხის მცხოვრებლებისა.** ნავთლუხელებმა სთხოვეს მოურავს, განკარგულება მოახდინოს, რომ გამგეობამ ყურადღება მიაქციოს იმათს მდგომარეობას: შეაკეთოს ქუჩები, დააარსოს სკოლები და სხვა. ნავთლუხელები სამართლიანად სწერენ, რომ სხვებზე ნაკლებ გადასახადებს არც ჩვენ ვიხდით, მაგრამ ქალაქის თვითმ-მართველობა არავითარ ყურადღებას არ გვაქცევსო.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ საბებიო ინსტიტუტის 7 ექიმმა განიზრახა ტფილისში ღარიბ მცხოვრებთათვის **საბებიო და საგინეკოლოგიო** დახმარების მოწყობა. ამისთვის ქალაქისაგან 1800 მანეთი ითხოვა. ამ ექიმების განცხადება 28 ოქტომბერს განიხილა საბჭოს კომისიამ და უარ-ჰყო წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ქალაქი თვითონა ჰფიქრობს ამ საქმის მოწყობას.

◆ ქალაქის მცხოვრებთა **ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა** კომისიამ 28 ოქტომბერს განიხილა პროექტი ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსი ავლაბარში სამშობიარო სახლის დაარსებისა და აგრეთვე მშობიარეთა დახმარების საქმის შესახებ. კრება ამ საგნის შესახებ ერთ გამორკვეულ მოსაზრებას ვერ დაადგა. ამას გარდა, რადგან საგანი საყურადღებოა, კომისიამ მიანდო წევრს მ. ზ. ავთანდილოვს და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს შეიმუშაონ ამ საგნის შესახებ მოხსენება.

◆ კავკასიის უმაღლესს მთავრობას აზრადა აქვს მთელ ამიერ-კავკასიაში **ბორნებისა და ხიდებისთვის** ერთნაირი გადასასვლელი ფასი დააწესოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა სია იმ 24 მცხოვრებისა, რომლებზედაც დარჩენილია სხვა-და-სხვა გარდასახადი. გამგეობამ დაადგინა, გაუგზავნოს სია ტფილისის პოლიცმეისტერს და სთხოვოს განკარგულება მოახდინოს, რომ ამათ დარჩენილი ფული გამოერთვასთ.

◆ გუშინ, 29 ოქტომბერს, ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო გამგეობამ გაუგზავნა ქალაქის გამგეობას თხოვნა იოსებ კასნიცკისა და მოსწერა შეატყობინოს, რა მოსაზრების ძალით არ მისცა გამგეობამ იმას სახლის აშენების ნება, მაშინ, როდესაც სენატის განმარტებით ქალაქის გამგეობებს უფლება არა აქვთ განიხილონ არსებითად ის საბუთები, რომელთა ძალით მცხოვრებნი ადგილსა ჰფლობენ. საბუთების არსებითად განხილვის უფლება ეკუთვნის სასამართლოებსაო.

◆ ხონის პროგიმ. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგად. გამგეობის მდივანი ქ-ნი ელენე ბახტაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „ხონის პროგიმ. ღარიბ მოსწავლეთა დამხმ. საზოგადოების“ გამგეობის მოხდობილობით გულითად მადლობას ვუცხადებ ამ საზოგადოების საპატიო წევრს, ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტს, ბ-ნ მიხაილ ჯანოევს, რომელმაც ჩვეულებისამებრ წელსაც 24 ოქტომბერს გამართა ჭიათურაში წარმოდგენა და შემოსული ფული 106 მან. 50 კაპ. სრულად გადმოსცა გამგეობას ღარიბ მოსწავლეთა დასარიგებლად. გამგეობა ულრმესს მადლობას უძღვნის აგრეთვე შავი-ქვის საბჭოს, იმის თავმჯდომარეს ბ-ნ ზდანოვიჩს და წევრს ბ-ნ ნიჟარაძეს, რომელთაც უსასყიდლოდ დაუთმეს სადგომი. მადლობას ვუძღვნით იმათაც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში და აგრეთვე ქ-ნ ნ. ბებურიშვილისას კერძოდ იმის მიერ საზოგადოებისათვის შეკრებილ ფულისათვის (16 მან)“.

◆ დღეს, 30 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს შორაპნის მაზრის საჩხერის მცხოვრების ვაჰრის ხვთისიაშვილისას, რომელსაც საჩხერის მომრიგებელ მოსამართლეს თარჯიმანისთვის სამსახურის ასრულების დროს შეურაცხების მიყენება ბრალდება.

◆ 13 ოქტომბრიდან 28-მდე ქალაქში 24 კაცი გამხდარა ყელის ჭირვებით ავად. ყელის ჭირვება უფრო გავრცელებულა პოლიციის მე-6 ნაწილში.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელისმომწერთ ეგზავნებათ სურათებიან დამატების მე-163 № შემდეგის შინაარსისა: „დარიგება“, მოთხრობა მარსელ პრევოსი, თარგმანი მოსულიშვილისა; სურათები გაგრაში გამართულ მცენარეულობის გამოფენისა და ოთხი კარიკატურა.

შინ და გარედ

27.

პეტერბურგის გაზეთები საყურადღებო ამბავს გვაუწყებენ: დაუსრულებიათ თავის მუშაობა ერობათა წარმომადგენლებს, რომელთაც მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა, შიდა რუსეთის გლეხთა გაღარიბების მიზეზის გამოკვლევა და მათის გაღონიერებისათვის საშუალებათა გამოძებნა. ერობათა წარმომადგენელნი მიწვეულნი იყვნენ თავის აზრის გამოსათქმელად იმ კომისიაში, რომელიც ხსენებულ საქმისათვის იყო დანიშნული, სტატს-სეკრეტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერობათა წარმომადგენლებმა არ უღალატეს თავის ჩვეულებასა და ფართოდ შეჰხედეს საქმეს: ნაკლები ყურადღება მიაქციეს საკითხის წვრიმალებს, ამა თუ იმ ტეხნიურს საშუალებას და მტკიცედ დააყენეს სახელმწიფოს შესახები საზოგადო საკითხები. მათის აზრით, ყოველი პალიატიური ღონისძიება უნაყოფოდ ჩაივლის, თუ საზოგადო ხასიათისა და ძირითადი რეფორმები არ იქმნა მოხდენილი. ამის დასამტკიცებლად მათ მიჰმართეს ისტორიას და ცხად ჰყვეს მთავრობის სრული უძლურება გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სწორედ იმ მიზეზით, რომ განზრახვა იყო პალიატივებით წამლობა დიდის სენისა. ვერც ლაშჩევის, ვერც კოხანოვის კომისიების პროექტებმა ვერ შეაჩერეს გლეხთა გაღარიბება, ვერც უკანასკნელ წლების ცდამ მოიტანა ნაყოფი, რადგან ყველას ჰსურდა საზოგადოებრივ-ეკონომიურის status quo-ს დაცვა და წვრიმალ ღონისძიებათა მიღებით საქმის გამობრუნებაო

როგორც მკითხველებს ეხსომება, ამგვართვე აზრი გამოსთქვეს სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა სამაზრო კომიტეტებმაც; ამასვე იმეორებდა წინად ერობა, მოწინავე პრესსა, მაგრამ ყოველივე რჩებოდა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა.“ ცხოვრება-კი დაჟინებით თხოულობს ამ მძიმე საქმის გადაწყვეტას; იგი არ იცდის; წინამდებარე არღვევს იმათ მოლოდინს, ვისაც ეგონა, იქნება იოლას წავიდეთო, იქნება ურეფორმოთაც გამოკეთდეს საქმეებიო... ბოლოს „საქმეთა მდგომარეობა“ მეტის-მეტად გამწვავდა და მთავრობამ კვლავ მიჰმართა დაწუნებულს ერობასა და საზოგადოებას კითხვით: რა ექნათ, რით ვუშველოთ გლეხობასაო? ერობამაც კვლავ მიუგო: ძირითადი ცვლილებაა საჭირო, უამისოდ ფონს ვერ გახვალო...

თავის მოხსენებაში ერობათა წარმომადგენელნი ორ უმთავრეს ფაქტორს აქცევენ ყურადღებას: სოფლის იურიდიულ-საზოგადოებრივ მდგომარეობასა და ხალხის განათლების საქმეს. ორსავე საკითხში ისინი ეთანხმებიან ფინანსთა მინისტრად ნამყოფს ს. ი. ვიტტეს და იმეორებენ: სანამ სოფლის ხალხი მოკლებული იქმნება უფლებათ და სანამ სწავლა-განათლების საქმე დღევანდელს ყოფაში იქმნება, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი მეტი იქმნებაო. „სოფლის ცხოვრება მაშინ ჩადგება ნორმალურს კალაპოტში, როდესაც აღვამაღლებთ გლეხების პიროვნებას; როდესაც სრულიად დასამუდამოთ მოისპობა გარჩევა „გლეხისა“ და „კეთილშობილის“ შუა; როდესაც კანონი აღარ გაარჩევს გადასახადის გადამხდელსა და გადასახადებიდან თავისუფალ წოდებას; როდესაც გაფართოვებულ იქმნება გლეხის იურიდიული უფლებანი“, ერთის სიტყვით, როდესაც სრულიად შეიცვლება აწინდელი ადმინისტრატიულ-იურიდიული წესწყობილება სოფლისა.

მკითხველს ესმის, რასაკვირველია, რომ ამით წამოყენებულია მთელ სახელმწიფოს შესახები საკითხი, რადგან ერობათა წარმომადგენლების აზრის განხორციელება მოითხოვს მთელის აწინდელის პოლიტიკის შეცვლას.

ამ საზოგადო მოსაზრების შემდეგ, ერობათა წარმომადგენლებს შეუმუშავებიათ პროექტი იმ ეკონომიურ ღონისძიებათა, რომელთა მიღებას საჭიროდ სთვლიან გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; ჩვენ ამათ აღარ დავასახელებთ, რადგან ახალს ცოტას წარმოადგენენ: ყოველივე სთქვეს თავის დროზე სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებმა და ჩვენს გაზეთშიაც ყოფილა აღნიშნული. ჩვენთვის საინტერესო იყო მხოლოდ ერობის აზრი საქმის საერთო, საზოგადო მდგომარეობის შესახებ და მისი დასკვნა, რომ პალიატივებით იოლას წასვლა აღარ შეიძლება.

ასეთია ფაქტების ლოღიკა და ცხოვრების მოთხოვნის აბუჩად აგდება ყოველთვის აღარ შეიძლება.

გან

ფელეტონი

ახალი დრამის ისტორიიდან.

ლანგმანის პიესები.

წავიდა სამუდამოთ ის დრო, როდესაც ევროპიელ მწერლებს აინტერესებდნენ მხოლოდ გრაფები და პრინცესები, დიდებულის ოჯახის შვილები, კოხტად და ბრწყინვალედ მორთულნი ქალები. საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზედ გამოვიდა დაბალი კლასსი, ხალხი, რომელმაც მოინდომა აქტიურის მონაწილეობის მიღება ისტორიაში, და მწერლებმაც ყურადღება მიაქციეს უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებს და აღმოაჩინეს მათს გულში იმდენი სიცოცხლე, იმდენი საინტერესო მოვლენა, რასაც წინად ვერც კი წარმოიდგენდა პოეტების ფანტაზია. ჩვეულებრივი ადამიანი შეიქნა საყვარელი მასალა მწერლობისათვის. როგორც საზოგადოდ ხდება, რეაქციამ პირველად არა-ნორმალური ხასიათი მიიღო, მწერლებმა დახატეს განსაკუთრებით მეტად დაცემული და გარყვნილი წარმომადგენლები დაბალი ხალხისა, თითქოს ასეთები არ ყოფილიყო მაღალ წრეებში და ხალხს არ ჰყოლოდა უკეთესი წარმომადგენლები. მაგრამ ეხლა ეს მდგომარეობა შეიცვალა. პოეზია, რომელსაც თავის სენად გაუხდია შრომის წარმომადგენელთა დასურათება, გვიხატავს მშრომელის ხალხის ცხოვრებას სავსებით, მისის ღირსებითა და ნაკლულევანებებით.

მშრომელ ხალხად პოეზიას მიაჩნია მუშები და გლეხები. გლეხების ცხოვრების გამოცნობას უფრო ადრე შეუდგნენ მწერლები. მუშათა ყოფა-მდგომარეობა უფრო ახალი საგანია მათთვის. დრამაც არ ჩამორჩა საზოგადო მიმართულებას და უკანასკნელ წლებში ჩვენ ვხედავთ ევროპაში საუკეთესო პიესებს, ძლიერის დრამატიზმით აღსავსე პიესებს მშრომელის ხალხის ცხოვრებიდან. მსოფლიო სახელი მოიპოვა ჰაუპტმანის „ფეიქრებმა“. ბოლოს დროს საერთო ყურადღება მიიქცია ავსტრიელმა მწერალმა ფილიპე ლანგმანმა, რომლის დრამა „ბარტელ ტურაზერი“ იმგვარ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ჰაუპტმანის პიესა.

ლანგმანი დაიბადა 5 თებერვალს 1862 წ. მორავიაში. დაამთავრა უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი და შემდეგ რამდენსამე წელიწადს მუშაობდა ფაბრიკაში. ეხლაც ფაბრიკაში მსახურობს და ძლიერ დაახლოვებულია მუშებთან. ლანგმანს პირდაპირ მუშების მწერალს ეძახიან. საუკეთესო მცოდნეა მუშების მდგომარეობისა და მასთან იშვიათის მხატვრულის, შემოქმედებითის ნიჭის პატრონია. ლანგმანი ნოველისტიცაა, მაგრამ საუკეთესო მისი ნაწარმოები პიესებია, მათ მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს სამს დრამას ლანგმანისას: ზემოხსენებულს „ტურაზერს“, „გერტრუდა ანტლესს“ და „კაპრალ შტერს“.

ყველაზედ უწინარეს განვიხილოთ „გერტრუდა ანტლესი“, სამ მოქმედებიანი დრამა; ამის დედა-აზრი შეადგენს იმ საერთო ფონს, რომელზედაც გამოიხატება ყველა დრამების შინაარსი. „გერტრუდა ანტლესისათვის“ შეიძლებოდა გვეწოდებინა მეორე სახელი „საკუთრება“, რადგან იგია პიესის ცენტრი და მისგან წარმოსდგება მთელი დრამა. გიუბერტი და მისი ცოლი ფანნი კარგად შეძლებული გლეხები არიან, კარგად გამართული ცხოვრება აქვთ, მათი ვაჟი ფრანცი უკვე საცოლოა, ქალიც გასათხოვარია, რომელსაც უკვე არჩეული ჰყავს საქმროდ მშრომელი და იშვიათი მეოჯახე გლეხი ვიხინგერი, გიუბერტი დღეს თუ ხვალ სოფლის მოსამართლედ უნდა აირჩიონ. ერთის სიტყვით, ყველაფერი მშვენიერადაა მოწყობილი, გიუბერტის ოჯახობა ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავის თავს, მაგრამ საქმე ის არის, რომ გიუბერტის მთელი ქონება, ადგილ-მამული, სახლ-კარი ყველაფერი დედის—გერტუდა ანტლესის საკუთრებაა, თვითონ გიუბერტი-კი არაფრის პატრონია, თითქმის უბრალო მუშაა ოჯახში. ამიტომ ვერც სოფელი აირჩევს მსაჯულად, როგორც უმამულო გლეხს, არც ვიხინგერს უნდა შეირთოს უმამულოს ქალი. გიუბერტს მობეზრდა ასეთი ყოფა. ცოლი და ის მუდამ იმის ნატვრაში არიან, როდის შევიქნებით მესაკუთრენიო. საკუთრება და ბატონობა ერთია მათთვის, და სადაც ბატონობა არაა, იქ არც ბედნიერება იქმნებაო.

ამგვარადვე ოცნებობენ ამ საკუთრებაზე სტეფი და ვიხინგერი. სტეფი ეუბნება საქმროს: მამა რომ დაინახავს, შენ მარჯვე და მშრომელი ადამიანი ხარ, ყველაფერზე ხელს აიღებს. ფრანცი ხომ ზარმაცია, იმას ფულით გავისტუმრებთ და მერე მთელის ქონების მესაკუთრე ჩვენ ვიქნებითო.

გერტრუდა ანტლესი თვითონაც შედის თავის შვილების მდგომარეობაში, იცის, როგორ უპატიკცემულოდ უყურებენ გლეხები უმამულო და უსაკუთრებო ადამიანს, თვითონ უკვე მოხუცებულია და წირვა-ლოცვაზე უფრო უნდა იფიქროს, ვიდრე ქონებაზე და მზათაა, დაუსაკუთროს შვილს მთელი ქონება. რამდენჯერმე განიზრახა ამის განხორციელება და უნდა დღეს მაინც დააბოლოოს საქმე. მართლაც, ეკლესიიდან დაბრუნდება და საჭირო მოწმეების თანადასწრებით, გადასცემს ყველაფერს გიუბერტს, ხოლო თავისთვის დაიტოვებს მცირე რასმე და, სხვათა შორის, იმ ოთახსაც, რომელშიაც დღეს ცხოვრობს...

მაგრამ არ გადის დიდი ხანი და, როგორც შექსპირის ლირი, გერტრუდა იგრძნობს შვილების უმადურობას. რამდენსამე წამის შემდეგ გერტრუდას ისეც პატარა ოთახში შემოაქვთ დასადგმელად დიდი ყუთი, და როდესაც გერტრუდა ამბობს: აქ არ შეიძლება მაგის დადგმაო, ფანნი და სტეფი მკაცრად უპასუხებენ, რომ სხვაგან ადგილი არა გვაქვსო. შემოდის ფრანცი, ხელში ღვინიანი სტაქანი უჭირავს, უზრდელად წამოჯდება ფანჯარაზე და დაცინვით დაუწყებს დიდედს ლაპარაკს: „სინიდისი წმინდა გაქვსო?“ ეკითხება გერტრუდა.—ფრანცი ირონიით უპასუხებს: „როგორ არა! ესეც არის, ღვინით გავრეცხეო.“—გერტრუდას გიუბერტის იმედი აქვს, იმისაგან მაინც მოელის მართალს სიტყვას. მაგრამ უკანასკნელი ლანძღვითა და გინებით შემოდის დედასთან და სახლიდან გაგდებას ემუქრება მოხუცს სიმონს, რომელიც ახალგაზრდობიდან მუდამ მათს ოჯახში მუშაობდა და რომელსაც ამ მოხუცებულობის დროს საზრდო და ბინა მისცა თავის სახლში.

რუსეთის ქრონიკა

◆ 23 და 24 ოქტომბერს ვილნოს სასამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განუხილავს იმ დამნაშავეთა საქმე, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი 21 მარტს თეატრში დემონსტრაციის დროს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისა გამო. დამნაშავეთ იცავდნენ ნაფიცნი ვექილნი: პეტერბურგისა—ზარუდნი, მოსკოვისა—მანდელშტამი, სმოლენსკისა—იოგანსენი და ადგილობრივი—ფინკელშტეინი. პალატას არც ერთი ბრალდებული დამნაშავედ არ უცვნია.

◆ ხერსონის ქალაქის გამგეობას ქალაქის საბჭოში შეუტანია მოხსენება ადგილობრივ ჟანდარმერიის შესანახ ხარჯებისაგან ქალაქის განთავისუფლების შესახებ. გამგეობა აღნიშნავს, რა მძიმე ტვირთად აწევს ქალაქს პოლიციისა და ადგილობრივ ჟანდარმერიის შენახვა. მოხსენებაში ნათქვამია: პოლიციისათვის ფულის გაღებას საბუთი აქვს, რადგან პოლიცია ქალაქის მცხოვრებთაც ემსახურება: იცავს წესიერებას და ეხმარება გამგეობას ზოგიერთ საქმეში. სულ სხვაა ჟანდარმერია, რომელსაც ქალაქის ინტერესებთან საერთო ცოტა რამე აქვსო.

◆ 24 ოქტომბერს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოკვლევა შუა გუბერნიების გაღატაკების მიზეზისა, გაუთავებია მუშაობა. კომისიას ხსენებულ გუბერნიების სოფლის მცხოვრებთა გასაუმჯობესებლად დაუსახელებია მთელი რიგი ღონისძიებათა, სხვათა შორის: წვრილ მრეწველობის გაძლიერება, საგლეხო ბანკების მოქმედების გაფართოვება, გადასახლებისა და საიჯარო მიწის სარგებლობის საქმის მოწყობა და ადგილ-მამულის გამოსასყიდ გადასახადის შემცირება.

◆ ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სოფლის მცხოვრებნი მოუსავლობისა გამო დიდ გაჭირვებაში არიან. საგუბერნიო გამგეობას განუხილავს საკითხი სოფლის მცხოვრებთათვის ნივთიერ დახმარების შესახებ და დაუდგენია, ვიშუამდგომლოთ, მოგვცეს მთავრობამ სესხად მილიონ ნახევარი მანეთიო.

◆ რუსეთის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკები აცხადებენ ეხლა იმ მამულების სიას, რომელიც საჯარო ვაჭრობით უნდა გაიყიდოს ხვედრ გადასახადის დროზე შეუტანლობისა გამო. დანიშნულია გასასყიდად 2500 მამული. ყველაზე მეტი გასასყიდი მამული მოდის ცენტრალურ გუბერნიებზე, ყველაზე ნაკლები კი სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებზე.

◆ როგორც უანგარიშნიათ, საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე დადებულ სადამოჟნო გადასახადიდან მომავალ წელს ხაზინას 206 მილიონ მანეთამდე შემოუვა.

◆ ქ. უფაში ამას წინად ნაფიცმა ვექილმა პოკროვსკიმ სასამართლოს შენობაში რევოლვერით მოჰკლა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. აპელლიაკი და შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა. როგორც „ვოლჟსკი ვესტ“. გადმოგვცემს, მიზეზი ამისა შემდეგი ყოფილა: პოკროვსკი შენიშნული ყოფილა და პოლიცია თვალყურს ადევნებდა თურმე. პოკროვსკის მოუთხოვნია ოლქის სასამართლოსაგან რაღაც შუამდგომლობისათვის საჭირო მოწმობა. თავმჯდომარეს მოწმობის მიცემაზე უარი უთქვამს.

პრესსა

მკითხველებმა უკვე იციან, რომ შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა შიდა რუსეთის გაღარიბების მიზეზთა გამოკვლევა. დიდი ხანია გაიძახიან, რომ რუსეთის შუაგული გაღარიბდა და განაპირა ადგილები-კი გამდიდრდაო. ამასთან ზოგი გაზეთი პირველის გაღარიბების მიზეზად მეორის გამდიდრებას სთვლის. რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ტენდენციურია. ფაქტი და ნამდვილი მოვლენა-კი ის არის, რომ სოფელი დაქვეითდა და დაღარიბდა რუსეთის იმპერიაში ყოველგან და არა მარტო „ცენტრში“, როგორც ზემოხსენებული გაზეთები ამბობენ. „ცენტრ“-ს უფრო ნათლად ეტყობა დაქვეითება იმიტომ, რომ მეტ ყურადღებას აქცევენ, იკვლევენ, იძიებენ და ააშკარავებენ დაქვეითების შედეგებს. დაქვეითებით-კი მართლა ძალიან დაქვეითდა. აი, რას გადმოგვცემს ჟურნალი „ხუტორიანინ“-ი:

> ჩვენის სოფლის გაღარიბება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ გლეხთა დაცემა და გაკოტრება ნათლად დასანახი შეიქნა მე-70 წლების მიწურულიდან. მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და მე-80 წლების დასაწყისში გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემდეგი საშუალებანი იხმარა: გააუქმა საკომლო გადასახადი, დაუკლო ადგილ-მამულის გამოსახსნელ გადასახადს 11 მილიონი მანეთი, დაუკლო მარილის გადასახადს 10 მილიონი მანეთი და, დასასრულ, გლეხთა დასახმარებლად დაარსა საგლეხო ბანკი. ამ ზომების მიუხედავად გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, რასაც ნათლად მოწმობდა და მოწმობს დარჩენილი გადასახადები. ეს გადასახადები წლითი-წლობით იზრდებოდა. ვორონეჟისა და ტულის გუბერნიებში დარჩენილი გარდასახადი ანუ „ნედოიმკა“ 1870-დან 1899 წლამდე გაიზარდა 5-დან 40$^0/_0$-მდე, ორლოვის გუბერნიაში 15-დან 81$^0/_0$-მდე, უფისაში 25-დან 115$^0/_0$-მდე, ორენბურგისაში 45-დან 185$^0/_0$-მდე, მოსკოვისაში 39-დან 165$^0/_0$-მდე, ყაზანისაში 5-დან 165$^0/_0$-მდე და სამარისაში 45-დან 240$^0/_0$-მდე. სხვა გუბერნიებშიაც დარჩენილი გარდასახადი ასევე გადიდდა და გაიზარდა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. შექსპირის პიესები ქართულს სცენაზე საზოგადოდ უფერულად გამოდის, მაგრამ სამშაბათის წარმოდგენამ უვარგისობით წინანდელებს გადააჭარბა. წინად ბ-ნი ვ. მესხიშვილი მაინც უდგამდა სულს წარმოდგენას მოხდენილის თამაშობით, სამწუხაროდ, სამშაბათს ბ. ალექსი-მესხიშვილი წინანდელი არ იყო; როგორც გვითხრეს, ამისი მიზეზი არტისტის მოულოდნელი ავადმყოფობა იყო. თუ ასეა, არ შეგვიძლიან საყვედური არ გამოვაცხადოთ იმის გამო, რომ ავადმყოფს არტისტს ათამაშებენ ისეთს პასუხ-საგებს როლს, როგორიც ჰამლეტია. სხვა არტისტებზე სრულიად არაფერი გვეთქმის: როლები არ იცოდნენ (განსაკუთრებით ბ-ნმა სვიმონიძემ), არც როლის შეგნება ემჩნეოდათ და უგულოდ თამაშობდნენ (განსაკუთრებით ქ-ნი გამყრელიძე). მოწყობილებაც შეუფერებელი იყო.

ქუთაისი. კვირას, 26 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ბრანდესის დრამა „სტუმარი“ და ვ. გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“. დიდი ხანია, ქუთაისის ქართულ სცენას ისეთი მწყობრი თამაში არა ღირსებია, როგორიც ამ დღეს: მსახიობნი თითქოს გაჯიბრებოდნენ ერთმანერთს, აბა, ვინ უკეთ ვითამაშებთო. როლები ჩინებულად იყო განაწილებული და ყველანი ისე თავისუფლად ჰგრძნობდნენ თავს სცენაზე, როგორც საკუთარ სახლში. ქ-ნი ჩხეიძის ასული ამ სეზონში პირველად გამოვიდა სცენაზე და მოხდენილის თამაშით სწორედ მოხიბლა საზოგადოება ფლორიზელის როლში. იმას ხელს უწყობდა ბ-ნი ვ. გუნია (ნერგარი, მდიდარი მემამულე). ბ-ნმა დ. ჩარკვიანმა (რეჰგოლტი) როლი არ იცოდა და ხანდახან ისე უადგილო ადგილას ჩერდებოდა, რომ თამაშს სულ უკარგავდა გემოს.

კომედიაში ვ. აბაშიძის (გენერალი რუჟიანიძე) თამაში ხომ შეუდარებელი იყო. ჩინებულად ჩაატარა თავისი როლი ბ-ნმა გუნიამაც, რისთვისაც მრავლჯერ დაჯილდოვებულ იქმნა საზოგადოებისაგან ხანგრძლივის ტაშისცემით. ქ-ნი კარგარეთელი (ქეთევან რუჟიანიძის ქალი) ისე მოხდენილად თამაშობდა, რომ სრულიად დაგვავიწყა თავისი უგულო თამაში „სამშობლო“-ს ქეთევანის როლში. ქ-ნი მდივანი და ბ-ნი შათირიშვილიც კარგები იყვნენ, მხოლოდ პირველს ცოტათი ხმა ჰქონდა წასული. ერთის სიტყვით, წარმოდგენამ შესანიშნავის ანსამბლით ჩაიარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოება იმდენი ვერ დაესწრო წარმოდგენას, რამდენიც მოსალოდნელი იყო. იქმნება, ამისი მიზეზი ის იყო, რომ „სამშობლო“-ს წარმოდგენით ცოტათი გულგატეხილი დარჩა საზოგადოება. ასეთ მშვენიერ წარმოდგენის შემდეგ მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება მეტის გულმხურვალეობით მოეკიდება ჩვენს წარმოდგენებს, ამ საუკეთესო ეროვნულ საქმეს.

დონ-ვალიანი

როგორც მკითხველებმა იციან, ოდესაში დიდ-ძალი ქართველი მუშაა. „ბაკ. იზვ.“ გადმოგვცემს, რომ მთავრობას ნება დაურთავს ამ მუშებისთვის ოდესაში გაიმართოს ხოლმე ქართული წარმოდგენები.

ბენეფისები ქართულ თეატრში დაიწყება 4 ნოემბრიდან. პირველი ბენეფისი ამ დღეს ექნება არტისტს გედევანოვს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დააარსა ქუთაისში თავისი ფილიალური განყოფილება. ამ განყოფილებაში იქმნება სულ ხუთი წევრი, რომელთაგან სამი უკვე აარჩიეს. ესენი არიან; გრ. ი. გველესიანი, ი. ი. პურადაშვილი და ა. მ. კრანიცკი. ამათ თავის მხრით უნდა მიიწვიონ კიდევ ორი წევრი. ამ განყოფილების მოვალეობა იქმნება ქუთაისსა და ფოთში წარმოდგენების მართვას მოწყობა.

ფიგნერის საოპერო დასი, რომელიც ქუთაისში აპირებდა წარმოდგენების გამართვას, აღარ მიდის. ვისაც ბილეთები ნაყიდი ჰქონდა, ფულს უბრუნებენ თეატრის კასიდან.

სასამართლო

ნიკ. ჯავრიშვილის მოკვლა

გუშინ-წინ 28 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ყუბანის პირველ პლასტუნის ბატალიონის ხორუნჟის ფრანც იოსების ძის გენზელ II-სა, რომელსაც ტფილისის მცხოვრების ნიკოლოზ ჯავრიშვილის მოკვლა ჰბრალდებოდა. გავახსენებთ მკითხველებს ამ საქმის გარემოებას. წელს, 14 მაისს, დღით 12 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ ხორუნჟმა გენზელმა ოთხჯერ დაახალა რევოლვერი ნიკოლოზ ჯავრიშვილს და იქვე მოჰკლა. როცა გარდაცვალებულის გვამი გასინჯეს საავადმყოფოში, ჯავრიშვილს ოთხი ჭრილობა აღმოაჩნდა. გამოირკვა შემდეგი: მოწმეების მიროტაძისა, თავ. თარხან-მოურავოვის და მაღალაშვილის, შეთაშვილის და სხვების ჩვენებით, 14 მაისს, ასე 12 საათზე, გოლოვინის პროსპექტზედ იდგა და ლაპარაკობდა თურმე რამდენიმე ოფიცერი.

ასე მალე შეიცვალა ყველაფერი. წინად ყველას უყვარდა დიდედა, ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ეხლა საკუთარ ოჯახშიაც არ ასვენებენ, იმიტომ, რომ დღეს საკუთრება მის ხელში არ არის.

გერტრუდა კიდევ უფრო დასუსტდება თუ მოხუცებულობისაგან, თუ ჯავრისაგან. შინაურებში ყურადღებას არ აქცევენ, ისევ გარეშე პირები ეხმარებიან და უწყობენ ხელს. ვიხინგერს ჯერ კიდევ არ დაუწერია ჯვარი სტეფიზე. თხოულობს, რომ გიუბერტმა სახლში ცალკე ოთახი მისცეს. თავისუფალი ოთახი კი არსად არის, თუ... თუ გერტრუდას არ მოუხერხებენ რასმე. პირველად სტეფი ჩააგონებს ყველას, რომ დიდედას პირობის ძალით ამ ოთახში ცხოვრების უფლება კი არა აქვს, არამედ იმ პატარა ოთახში უნდა იცხოვროს, რომელიც სულ ზევითაა. სახურავის ქვეშო. ეს აზრი ძალიან მოეწონება გიუბერტს და მის ცოლს. ფანნი მზათაა, სრულიადაც გააძევოს მოხუცებული დედაკაცი. გაახელებს ფრანცს, რომელიც ისე გულ-მოსულია დიდედაზე, და ჩხუბს აატეხინებს. მერე თვითონ მიდის დედამთილთან და გულზე ჰხეთქავს, შენი ოთახი უნდა დაგვიცალოვო, ახალ ჯვარ-დაწერილებისათვის დაგვჭირდებაო. გერტრუდას არ სჯერა ყურით განაგონი და ხომ არ ხუმრობო, ეუბნება ფანნის. მათს ლაპარაკში ჩაერევა სტეფი, ჯერ ევედრება დიდედას, მერე-კი პირდაპირ მოსთხოვს, შენი ოთახი მოგვეციო.—მერე მე უნდა გადავსახლდე აქედანო? ეკითხება მოხუცი.—არა, სად. უპასუხებს ქალი: შენ შეგიძლია, აი იმ ზევით დასახლდეო.—საძაგელო! შეჰყვირებს გერტრუდა და დაუძახებს თავის შვილს. ცრემლებით შესჩივლებს, ოთახის წართმევას მიპირობენ შენი ცოლი და ქალიო, საკუთარის ოთახისასაო!—ეგ კიდევ საკითხავია, მოუჭრის სიტყვას გიუბერტი: შენია ეს ოთახი მართლა, თუ ჩვენიო. მოითხოვს პირობის ქაღალდს, წაიკითხავს ადგილს ოთახის შესახებ და ეუბნება დედას: შენი ოთახი ზევით არისო.

გერტრუდას კანკალს დააწყებინებს, ძლივს ჩერდება ფეხებზე. „კმარა, კმარა! გააწყვეტინებს შვილს სიტყვებს: მაშ მე ჩემის სახლიდან მაძევებთ! ქუჩაში მაგდებთ? სად შემიძლია მე, ავადმყოფს და მოხუცს ზევით ასვლა და ჩამოსვლა!.. თქვე გველებო. შხამიანო გველებო! დედა გინდათ გააგდოთ სახლიდან, როგორც ძაღლი!“—გეყოფა, ნუ იგინები!—გააჩუმებს გიუბერტი: ერთს კვირას ვადას გაძლევთ, მოემზადე, მერე ზევით გადაგაბარგებთ.

გერტრუდა გარეტიანებული და ხმა-ამოუღებლივ დგას ერთს ადგილას. მერე მუხლებზე დაეცემა და ტირილით ამბობს; „ღმერთო ზეციერო, ნუ დასჯი ჩემს შვილს, ნუ დასჯი ჩემს შვილსო!“

გერტრუდას ამხნევებენ ძველი მეგობრები სიმონი და შტრომაიერი, რომელნიც ურჩევენ, ნუ დაემორჩილები შვილს, ჩვენ დაგეხმარებით და ნუ გადახვალ ამ ოთახიდანაო. გერტრუდას გულს გაათბობს ერიმას და მისი ქალის საქციელიც, რომელთაც წინად, შეძლების დროს, არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა და რომელნიც ეხლა ეხვეწებიან, ჩვენთან გადმოსახლდი, ჩვენ მოგივლითო (გრიმის ქალი შეაცდინა ფრანცმა და უკანასკნელისაგან შვილიც-კი ჰყავს უკვე). გერტრუდას მაინც არა სჯერა, თუ მისი შვილი აიძულებს ოთახის დატოვებას. როდესაც გიუბერტი შემოდის მასთან, პატარა ბავშივით ეხვეწება: „ჩემო საყვარელო შვილო, დამტოვე ამ სახლში, ნუ გამაგდებ. ყოველს ადამიანს მხოლოდ ერთი ჰყავს დედა; ნუ დაივიწყებ, რომ პასუხი უნდა გასცე ზეცას. გევედრები, ნუ გააგდებ შენს დედას.“ ამგვარადვე ეხვეწება თავის რძალსაც: „ფანნი, შენი მოსამსახურე ვიქნები ამ სახლში. მაპატიეთ, თუ რამე შეურაცხჰყოფა მოგაყენე; ნუ მოიყვან გულს მოხუცებულს დედაკაცზე. დამტოვეთ ჩემს სახლში, მომეცით ნება, რომ აქ დავლიო უკანასკნელი დღენი.“ ფანნი და გიუბერტი გულ-ცივად უპასუხებენ, რომ არაფერი არ შეგვიძლია, ქორწილს ვერ გადავდებთო.

გამწარებული გერტრუდა ფეხზე წამოვარდება: „ყველაფერი გათავდა!.. ესენი ქვები ყოფილან და არა ადამიანებიო! წამოიძახებს: მხეცის წინაშე რომ დავვარდნილვიყავი მუხლებზე, ისიც-კი შემიბრალებდა. ძაღლიც-კი მომეფერებოდა. თქვენ-კი ადამიანები—ჩემი შვილები ასე დამცინითო“, და დასწყევლის შვილსა და მის ოჯახობას. ყველანი მიატოვებენ გერტრუდას, გარდა სიმონისა და შტრომაიერისა, რომელნიც წერილს მიაწერინებენ ქალაქის მოსამართლესთან და მის მისვლამდის კარებს გაამაგრებენ, რომ არავინ შემოუშვან. გიურბერტი და ფრანცი კარებს შემოამტვრევენ და შემოვლენ. გიურბერტს უნდა, დაუყოვნებლივ გააძევოს დედა სახლიდან. ეხლავეო, ეუბნება გერტრუდა და გადის უკანა კარიდან გარედ. სახლში გლეხები შეიკრიბებიან, ყველანი ამტყუნებენ გიუბერტს. ვიხინგრესაც აღარ უნდა შეირთოს მისი ქალი და დედის მკვლელს ეძახის გიუბერტს.

უცებ შემობრუნდება ვერტრუდა და კარს ღიას დასტოვებს: გარედან ცეცხლი გამომოჩნდება, სახლ-კარი იწვის. ყველანი გარედ გაცვივიან, გარდა გერტრუდასი. მასთან რჩება ვიხინგერი. ვიხინგერს უნდა გაიყვანოს მოხუცი, რომ ცეცხლს გადაარჩინოს, მაგრამ გამხეცებული გერტრუდა გააგდებს, კარებს ჩაიკეტავს და ამბობს: აქ დავიბადე, აქვე მოვკვდებიო. სახეზე თავსაფარს გადაიფარებს, დაეცემა მუხლებზე და შეევედრება ღმერთს: მამაო მოწყალეო, ნამეტან სასტიკად ნუ განმიკითხავ მე ცოდვილსაო.

ცეცხლი თან-და-თან ძლიერდება...

პიესა მეტად დამაღონებლად მოქმედობს ადამიანზე და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. საშინელია პიესის დედა-აზრი, საშინელია თავის სინამდვილით და მაშხალასავით ანათებს ჩვენს ცხოვრებას. თვითონ გერტრუდას პირით არის გამოთქმული ეს აზრი: „ყოველივე უბედურება საკუთრებისაგან წარმოსდგებაო“. მართლაც, რამდენის ბოროტების, უსამართლობის, უზნეობის, გარყვნილების და სიკვდილის... სიკვდილის დასაბამია იქ! მისთვის არაფერი არ არის წმიდა, ყველაფერს რყვნის, ძირს სცემს, ლახავს, ათახსირებს; უწმიდესს გრძნობას—დედის სიყვარულსაც ფეხით გადათელავს და მსხვერპლად შეიწირავს. ის, რაც თავის თავად—მატერიალური ქონება, ბუნების ძალები—ბედნიერებაა, ადამიანის მიზეზით გადაქცეულა ადამიანისათვის უბედურებად...

(შემდეგი იქმნება)

სამი ყაზახ ოფიცრის ფორმაში ყოფილა, სამი თუ ორი ქვეითა ჯარის ფორმაში. ამ დროს ჩქარის ნაბიჯით გამოუვლია ნიკოლოზ ჯავრიშვილს და შემთხვევით ერთ ოფიცრისთვის ხელზე ხელი მოუხვედრებია. ოფიცერს, რომელიც გენზელი აღმოჩნდა, დაუძახნია, „ხელს რას იკვრევინებიო“, და სილა გაურტყამს ჯავრიშვილისთვის. ჯავრიშვილს საპასუხოდ ისეთი სილა გაურტყამს ოფიცრისთვის, რომ იგი ქვაფენილზე დაცემულა. ჯავრიშვილი გზას გასდგომია, მაგრამ პოლიციელს ზემლიანიკოვს შეუჩერებია. ოფიცერი გენზელი გამოსდგომია ჯავრიშვილს, ამოუღია რევოლვერი და დაუმიზნებია. ამ დროს „ტფილისის სობრანიასთან“ მდგომთ დაუძახნიათ: „ნუ ესვრი, სულელიაო“. ამ სიტყვებზედ გენზელი შემდგარა, მაგრა ამავე დროს გაუგონია თავის ამხანაგის მე-254 თემირხანშურის სათადარიგო ბატალიონის ოფიცრის კამლიცკის ხმა, „ესროლეო“. ამის შემდეგ უსროლია ოთხჯერ რევოლვერი.

ასე უჩვენეს მოწმეებმა· სულ სხვა განაცხადა თვით ბრალდებულმა გენზელმა. გენზელმა სთქვა: 14 მაისს პოდპორ. კამლიცკისთან ერთად დავსეირნობდი. უცბად ვიღაცამ უკანიდან ხელი მკრა. მე წავიქეცი. წაქცეულს უცნობმა ორჯელ კიდევ დამარტყა, მაშინ შევნიშნე, რომ ეს კაცი ვიღაც „ტუზემეცი“ იყო. ჩამოვცოცდი ტროტუარიდან ქუჩაში და იქ ფეხზე წამოვდექი, მაგრამ შევნიშნე, რომ „ტუზემეცი“ ჩემზე მოვარდნას აპირებდა, ამიტომ ამოვიღე რევოლვერი და დავუმიზნე. გავიგონე ჩემი ამხანაგის ხმა, რომელმაც რამდენჯერმე დამიძახა, „ესროლეო“, ის-კი არ გამიგონია, რომ „ნუ ესვრი, ჭკუაზე შეშლილიაო“. თითქმის ესევე განაცხადეს მოწმეებმა ოფიცრებმა კამლიცკიმ, პერეკრესტოვმა და აფანასიევმა და ტფილისის პირველ გიმნაზიის მოსწავლეებმა ფოველმა, სობოლმა, ეგოროვმა, პოპოვმა და ქავთარაძემ.

სასამართლოში საქმის გამოძიებამ გასტანა ნაშუადღევის 4 საათამდე. კარგა ხანს თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული ფრანც იოსებისძე გენზელი დამნაშავედ იქმნა ცნობილი ნიკოლოზ ჯავრიშვილის მოკვლაში და მიუსაჯა ყოველისავე განსაკუთრებულ პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ ღირსება-უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას მის იმპერატორებით უდიდებულობის ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე, რომ სრულიად ეპატიოს გენზელს დანაშაული. სამოქალაქო მომჩივნის სასარგებლოდ სასამართლომ გადასწყვიტა 201 მანეთი. („კავკაზ“)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

ლონდონი. ლორდ-მერის ნადიმზე ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა. პირველმა მინისტრმა სთქვა: მსოფლიო პოლიტიკური საქმეები ამ ჟამად ისე მიდის, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მეტის-მეტად როდი უნდა გვაფიქრებდეს და გვაწუხებდეს; საზოგადო მშვიდობიანობას ასეთი მტკიცე და გულ-მხურვალე მომხრე არავინა ჰყავს, როგორიც რუსეთის იმპერატორია. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მოკავშირე იაპონია წინდახედულობასა და ზომიერებას გამოიჩენს. მაკედონიის საქმე უფრო მძიმე საქმეა. ამ საქმეს მარტო დიპლომატების მოხერხება ვერ გადასწყვეტს. ეს საქმე ეხლა სწორე გზაზე დგას: რუსეთ-ავსტრიის პროექტი სრული და უნაკლულო არაა. ის წარმოადგენს მოთხოვნილებათა minimum-ს. ამიტომ ვერც კი წარმომიდგენია, რომ რუსეთმა და ავსტრიამ, რომელნიც როგორც ბერლინის ხელ-შეკრულობაზე ხელის მომწერ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მოქმედებენ, მოითმინონ, თუ ოსმალეთი იმათ პროექტს ან სულ უარ-ჰყოფს, ან იმის ასრულებას მეტის-მეტად გააჭიანურებს. აღმოსავლეთის ერების დაცემაც მეტად საშიშრად მიმაჩნია. უნდა ყურადღება მივაქციოთ, რომ სახელმწიფონი თან-და-თან სამედიატორო წესით საქმეების გადაწყვეტას ეჩვევიან. ევროპის ყოველი სახელმწიფო დარწმუნდა, რომ დიდ დანაშაულობას სჩადის, როდესაც სხვა-და-სხვა ერ-შუა მტრობას აგდებს. ყოველი სადავო საქმე ან სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცეს გადასაწყვეტად, ან ამ საქმის თაობაზე პირდაპირ სახელმწიფოებმა მიწერ-მოწერა გასჭმართონ და ამით თავიდან აიცილონ შეცდომა.

მოსკოვი. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა სახალხო თეატრში ჩაიკოვსკის ბიუსტი დაიდგას და ყოველ წელს გარდაცვალების წლის თავზე გაიმართოს იმის ნაწარმოების კონცერტი.

პორტ-არტური. ხმა დადის, საიდუმლო საზოგადოებანი იანძეს ველში აჯანყებას ამზადებენო. „ნოვი კრაი“-ს კორესპონდენტი ტოკიოდან იტყობინება, რომ იაპონიის პატარა გაზეთები ბევრს ტყუილებს თხზავენო. „რეიტერის სააგენტოს“ ცნობებიც კი გაზეთების ჭორი გამოდგაო. მთავრობა კი წყნარად არის და თავის საქმეებს განაგრძობს, აგიტაციით აღელვებულ ხალხის მოუთმენლობას ყურადღებას არ აქცევსო.

კიევი. კიევის სასულიერო სემინარიაში პროფესორად ნამყოფ გრუშევსკის კიევში სახალხო სკოლის დასაარსებლად უანდერძებია 100 ათასი მანეთი.

პავლოგრადი. კოფმანის ბანკის კონტორიდან 30 ათასის მანეთის წამლები ქურდები აღმოაჩინეს. გამგე აზოვი დაიმალა. ფრიპშტანდტი და სეგალი დაატუსაღეს.

კოპენჰაგენი. მოკლე ხანში სტორტინგი განიხილავს მთავრობის კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც ქალებს მოხელედ დადგომის უფლება მიეცემათ.

ვენა. რეიხსრატს 4 ნოემბერს მოიწვევენ.

ვაშინგტონი. პანამის ახალ რესპუბლიკის წარმომადგენელმა შეატყობინა სახელმწიფო დეპარტამენტს, დროებითმა მთავრობამ კომისია დანიშნა; ეს კომისია ვაშინგტონიდან პანამაში წავა, რომ ეხლავე პანამის არხის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყონო.

ბერლინი. დილის ბიულეტენში სწერია: „იმპერატორი თან-და-თან რჩება. დღეს სასეირნოდ წავიდა“.

სოფია. ჰფიქრობენ, პორტა ყოველნაირად ეცდება, რომ ახალ რეფორმების შემოღება გადიდოს.; ამიტომ სახელმწიფოები უსათუოდ საქმეში გაერევიანო.—ბოლგარიაში ახალი გადმოხვეწილი ხალხი მოდის. რაზლოგში საქმის მდგომარეობა გამოკეთდა. ჯარი და ბაში-ბუზუკები ბოლგართ სოფლებს ეცემიან, მხეცურადა და ულმობლად იქცევიან.

სოფია. საზღვარ-გარედ ხმა გაავრცელეს, ვითომ მთავრის წინააღმდეგ შეთქმულობა გაემართოთ; ეს ხმა განგებაა შეთხზული.

ადენი. ინგლისის ჯარსა და კუტების ტომს დიდი ბრძოლა მოუვიდათ. კუტების დიდი ზარალი მოუვიდათ. ინგლისელებს ცხრა კაცი დაუჭრეს.

რომი. ცნობა, ვითომ სამინისტრო სამსახურიდან გადამდგარიყვეს, ცოცხალი ტყუილია.

29 ოქტომბერი

პეტერბურგი. 6 ნოემბერს ცარსკოე სელოში უმაღლესის თანადასწრებით გაიმართება გუსართა ლეიბ-გვარდის პოლკის საეკლესიო პარადი.

პოტსდამი. იმპერატორმა და დედოფალმა ქვეითად ისეირნეს ახალ სასახლის განაპირა ადგილებში.

სტამბოლი. ხმები, ვითომ დიდ ვეზირს სამსახურიდან გადაყენებას უპირებდნენ, საფუძველს მოკლებულია.

სოფია. ბოლგარიის პეტერბურგელ აგენტს, რომელიც ამ ჟამად დასასვენებლად სოფიაში იმყოფება, მთავრობამ მიანდო მოწყობა მაკედონელ გადახვეწილთა საქმისა. რევოლიუციონერები მაკედონიაში ისევ განაგრძობენ ბრძოლას. მცხოვრებნი ძლიერ შიშში არიან, რადგან რეფორმებს ოსმალეთის გუბერნატორის ფაშას სამსახურის დროს შეუძლებლად სთვლიან.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62 1/2	
ბირჟის დისკონტი	5-6 1/2%	
4% სახელმწიფო რენტა	99 5/8	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95 1/8	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	462	გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ· ბილ. 1866 წ.	347	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	290 1/2	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91 7/8	„
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	90	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	212	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ -სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხის ნახშირის
საწყობი
იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—ნ.—4)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

კბილები
და მათი მოვლა-შენახვა
საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული: გამოცემა კ. ჯ—სა, ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან და „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტელეფონი № 741 დაარსების მიზანი ტელეფონი № 741
საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობისა
იყო და არის
მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

Дозв. ценз. Тифлисъ 29 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).